

დანართი N1

დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლები

1. პროექტის განხორციელების ადგილი: ქალაქი ნინოწმინდა, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 65.11.33.676 (დანართი; მშენებარე ავტოგასამართი სადგურის ფოტომასალა)
2. მონაცემები საწარმოს შესახებ- მოცემულია ცხრილი N1-ში

დასახელება	შპს „ნეფთ“ ს/კ 423357334
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ნინოწმინდა
იურდიული	ქ.ახალქალაქი, ლომსაძის ქ. №70-2
ს/ნ	
GPS კოორდინატები (UTM WGS 1984 კოორდინატთა სისტემა)	X – 382745; Y – 4569523;
ობიექტის ხელმძღვანელი:	გრიგორი ჰამბარცუმიან
გვარი, სახელი	
ტელეფონი:	599 17 87 69
ელ-ფოსტა:	qobulashvili56@gmail.com
მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	190 მ.
ეკონომიკური საქმიანობის სახე	ავტოგასამართი სადგური
გამოშვებული პროდუქციის სახეობა	რეალიზებული/გადატვირთული ბენზინი - 3 000 000 რეალიზებული/გადატვირთული დიზელი - 3 000 000 ლ
საპროექტო წარამადობა	რეალიზებული/გადატვირთული ბენზინი 3 000 000ლ წელიწადში; რეალიზებული/გადატვირთულ დიზელი 3 000 000ლ წელიწადში
სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში	365
სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში	24 სთ

3. საწარმოს განთავსების ადგილი:

ავტოგასამართი სადგურის და მასთან ერთად ნავთობპროდუქტების საცავების მოწყობა იგეგმება ქალაქ ნინოწმინდაში არსებულ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ს/კ 65.11.33.676 რომელიც წარმოადგენს შპს „ნეფთ“-ის საკუთრებას. მიწის ნაკვეთის ფართობია 1055 მ². მთელ ფართობზე განთავსდება ავტოგასამართი სადგური, თავისი ინფრასტრუქტურით. ავტოგასამართი სადგურის მარიგებელი სვეტები მოეწყობა რკინის კონსტრუქციებით მოწყობილ გადახურული ნაგებობის ქვეშ, ხოლო საწვავის რეზერვუარები განთავსდება მიწისქვეშ, ჰორიზონტალურად.

მიწის ნაკვეთი, სადაც ავტოგასამართი სადგური უნდა მოეწყოს წარმოადგენს ტექნოგენურად უკვე სახეცვლილ ტერიტორიას და ავტოგასამართი სადგურის მოწყობისას და ფუნქციონირებისას მიმდებარე ლანდშაფტზე ახალი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

4. საქმიანობის მასშტაბი: ავტოგასამართი სადგური გეგმავს წლიურად მოახდინოს 3 000 000 ლ ბენზინის და 3 000 000 ლ დიზელის საწვავის მიღება-გაცემა/რეალიზაციას;

5. დაგეგმილი საქმიანობის აღწერა:

ტერიტორია, სადაც დაგეგმილია ავტოგასამართი სადგურის მოწყობა, წარმოადგენს მოსწორებულ, მცენარეული საფარისგან თავისუფალ მიწის ნაკვეთს. ჭარბტენიან, ტყის ზოლთან და დაცული ტერიტორიებიდან საკმაოდაა დაშორებული.

ავტოგასამართ სადგურზე იგეგმება 2 ტიპის საწვავის, ბენზინის და დიზელის რეალიზაცია, საწვავის მიღება-შენახვისათვის დაგეგმილია ოთხი ერთეული რკინის რეზერვუარის მონტაჟი. რომლებიც მიწისქვეშ განთავსდება ჰორიზონტალურად. რომელთა მოცულობები იქნება:

- I- დიზელის რეზერვუარი 55,00 მ³ მოცულობის, რომლის L- 9,20 მ; D-2,8 მ;
- II- ბენზინის რეზერვუარი 55,00 მ³ მოცულობის, რომლის L- 9,20 მ; D-2,8 მ;
- III- ბენზინის რეზერვუარი 8,00 მ³ მოცულობის, რომლის L-3,00მ; D-1,9 მ;
- IV- დიზელის რეზერვუარი 25,00 მ³ მოცულობის, რომლის L-7,8 მ; D-1,9 მ;

რეზერვუარები განთავსდება მიწისქვეშა სარკოფაგებში, სიცარიელები შევსებული იქნება ქვიშა-ლორღის ფრაქციით. რეზერვუარების სასუნთქი სარქველების სიმაღლე H=2 მეტრი იქნება, დიამეტრით D=0,05 მ. რეზერვუარები დაფარული იქნება ანტიკოროზიული ნივთიერებით.

ავტოგასამართი სადგურის რეზერვუარებში საწვავის მიღება განხორციელდება ავტოცისტერნების საშუალებით, რომელიც უნდა დაერთდეს ტერიტორიაზე განთავსებულ ჩამსხმელ დგარებზე. მიწისქვეშა მილსადენების საშუალებით რეზერვუარები მიერთებული იქნება ორ საწვავ-მარიგებელ სვეტთან. რომელიც განთავსდება რკინის კონსტრუქციის გადახურულ ნაგებობის ქვეშ.

ტერიტორიაზე ასევე იგეგმება შენობა-ნაგებობის აშენება, სადაც განთავსდება საოფისე, ოპერატორების და მომხმარებლების ტუალეტები.

ავტოგასამართი სადგური გათვალისწინებულია ბენზინისა და დიზელის საწვავის მომხმარებელზე რეალიზაციისათვის, რომლის წლიური მაქსიმალური ჯამური რაოდენობა მოსალოდნელია 6 000 000 ლ-ის ოდენობით. (3 000 000 დიზელის საწვავი და 3 000 000 ბენზინი.)

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე განთავსდება მეხამრიდი, რომელიც სრულად დაფარავს სარეზერვუარო პარკს, მარიგებელ სვეტს და შენობა-ნაგებობას.

ავტოგასამართ სადგურზე საწვავის მიღება-გაცემა განხორციელდება ავტომატური რეჟიმით.

6. დანადგარის განთავსების კოორდინატები:

ავტოგასამართი სადგური მოეწყობა X – 382745; Y – 4569523; კოორდინატებში;

7. საპროექტო წარმადობა:

6 000 000 ლ (3 000 000 ლ დიზელის და 3 000 000 ლ ბენზინის) თხევადი საწვავის მიღება/გაცემა;

8. სამუშაო დღეთა რაოდენობა: 365 დღე

9. სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში: 24 სთ;

10. გამოყენებული რესურსები:

ავტოგასამართი სადგურის მოწყობა ფუნქციონირებისას რაიმესახის ბუნებრივი რესურსების გამოყენება არ იგეგმება.

11. დაშორება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან: 190 მ.

12. მიწის ნაკვეთს- ჩრდილო-დასავლეთიდან ესაზღვრება საავტომობილო გზა, ჩრდილოეთიდან ესაზღვრება არშალის ტონოიანის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, ჩრდილო-აღმოსავლეთით არტიუმ ჰამბარცუმიანის მიწის ნაკვეთი. სამხრეთიდან ესაზღვრება მიწის ნაკვეთი ს/კ 65.14.35.232 რომლის რეგისტრაცია გაუქმებულია.

13. გამოყენებული საწვავი: არ გამოიყენებს საწვავს

14. ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ელემენტები: ავტოგასამართი სადგურის შემადგენელი ინფრასტრუქტურული ელემენტებია:

- ოფისი-საოპერატორო;
- სარეზერვუარო პარკი;
- საწვავის მარიგებელი სვეტი;
- ავტოცისტერნის დაცლის პლატფორმა;
- დაღვრილი საწვავის შემკრები ღარები და სალექარი;
- დაღვრილი ნავთობპროდუქტების შემკრები ჭა;
- ფასის მაჩვენებელი ტაბლო;
- ტუალეტი;

15. ტექნოლოგიური სქემა:

საწვავის მიღება მოხდება ავტოცისტერნებით. საწვავის მიღებისას ჯერ მოხდება

ავტოცისტერნის დაერთება დამიწების ჭანჭიკზე და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება საწვავის მიღების პროცესი. საწარმოს ტერიტორიაზე შემოსული ავტოცისტერნა დაერთდება რეზერვუარების ჩამსხმელ დგარზე, რომლის მეშვეობით მოხდება საწვავის რეზერვუარებში განთავსება. რეზერვუარებიდან მოხდება საწვავის გამცემი სვეტისთვის მიწოდება და მომხმარებლებზე გაცემა. ყველა პროცესი გახორციელდება ავტომატურად. საწარმოში მუშაობა იგეგმება 24 საათიანი ცვლის ხანგრძლივობით. წელიწადში სამუშაოდღეთა რაოდენობა არის 365 დღე, საწარმოში სავარაუდოდ იმუშავენ შვიდი ადამიანი. საწარმო ენერგორესურსის სახით გამოიყენებს ელექტროენერგიას.

16) გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ფუნქციონირების პროცესში:

გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება შეიძლება უმნიშვნელოდ გამოიხატოს, ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესებით; ნიადაგის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების უმნიშვნელო დაბინძურებით, ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებით, ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედებით.

ა) ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე:

საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი აქვს საწარმოს უბნებზე მავნე ნივთიერებათა (ნახშირწყალბადები) წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფეროში. საწარმოს მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ ნახშირწყალბადების მაქსიმალური ინტენსივობები ფიქსირდება ავტოცისტერნებიდან რეზერვუარებში ნავთობპროდუქტების მიღებისას და საწვავის გაცემისას.

ცხრილ-1-ში მოცემულია ავტოგასამართი სადგურიდან მოსალოდნელი გაფრქვევის მავნე ნივთიერებების კოდი, ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების მნიშვნელობები და საშიშროების კლასი.

ცხრილი 1.

მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები

#	მავნე ნივთიერების დასახელება	კოდი	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია(ზღვ) მგ/მ ³		საშიშროების კლასი
			მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღეღამური	
1	2	3	4	5	6
1.	ბენზინის ორთქლი	311	5	-	4
2.	დიზელის საწვავის ორთქლი	314	1		4

როგორც უკვე აღინიშნა, ავტოგასამართი სადგურიდან მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ინტენსივობების მაქსიმალური ჯამური მნიშვნელობები მიიღება საწვავის მიღებისას და ავტომობილების გამართვისას.

გამომდინარე იქიდან, რომ საწარმო გეგმავს ორი სახეობის საწვავის რეზერვუარების ფუნქციონირებას, საწარმოს მუშაობისას ადგილი ექნება გაფრქვევას 2 უბნიდან,

1) დიზელის მიღება-გაცემა; 2) ბენზინის მიღება-გაცემა.

1 ლიტრი დიზელის საწვავისათვის რელიზაციისას ატმოსფეროში გაიფრქვევა 0,0025 გ ნახშირწყალბადები, ხოლო 1 ლიტრი ბენზინის რელიზაციისას 1,4გ ნახშირწყალბადები. ერთი წლის განმავლობაში ავტოგასამართი სადგური მაქსიმუმ 3 000 000 ლიტრს დიზელის საწვავის და 3 000 000 ლიტრი ბენზინის რელიზაციას მოახდენს.

აქედან გამომდინარე წლის განმავლობაში ავტოგასამართი სადგურის მიერ გაფრქვეული ნახშირწყალბადების წლიური რაოდენობა ტოლი იქნება:

დიზელის საწვავისათვის:

$$G_{ნახშ} = 3\ 000\ 000 \times 0,0025/10^6 = 0,0075 \text{ ტ/წ.}$$

$$M_{ნახშ} = 0,0075 \times 10^6 / 8760 / 3600 = 0,0002 \text{ გ/წმ}$$

ბენზინისათვის:

$$G_{ნახშ} = 3\ 000\ 000 \times 1,4/10^6 = 4,2 \text{ ტ/წელი}$$

$$M_{ნახშ} = 4,2 \times 10^6 / 8760 / 3600 = 0,1331 \text{ გ/წმ}$$

სულ წლიურად ავტოგასამართი სადგურიდან გაიფრქვევა 4,2075 ტ/წ ნახშირწყალბადები. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის რაოდენობები მინიმალურია და დაშვებული ნორმების ფარგლებშია.

ბ. ხმაურის ზემოქმედება:

საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო, ვინაიდან ავტოგასამართ სადგურზე არ რის გათვალისწინებული მაღალი ხმაურის დონის გამომწვევი დანადგარების განთავსება. საწარმოს სპეციფიკის და განთავსების ადგილის გათვალისწინებით გამორიცხულია მოსახლეობაზე და დასაქმებულებზე ხმაურის უარყოფითი გავლენა.

გ. ზემოქმედება ლანდშაფტზე:

ავტოგასამართი სადგურის მოწყობა იგეგმება ტერიტორიაზე რომელიც წარმოადგენს ათვისებულ, ტექნოგენურად უკვე სახეცვლილ ტერიტორიას. ავტოგასამართის მოწყობისას არ იგეგმება დიდი მოცულობის და ზომების სამშენებლო სამუშაოების განხორციელება რის გამოც ლანდშაფტის სერიოზული ვიზუალური ცვლილება არ არის მოსალოდნელი.

დ. ზემოქმედება ნიადაგურ საფარზე და მიწის რესურსებზე-

საწარმოს მოწყობისას და ექსპლუატაციისას მიწის რესურსებზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, რადგან საწარმო მოწყობა იგეგმება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე, სადაც არ ფიქსირდება მიწის ნაყოფიერი ფენა, ასევე არ არის საჭირო დამატებით ახალი მისასვლელი გზების მოწყობა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიწის რესურსებზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

წყალალეობა - ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას წყალი საწარმოო მიზნებისათვის არ გამოიყენება, წყალი გამოიყენება მხოლოდ საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის.

სანიაღვრე ჩამდინარე წყლები -

რადგან ავტოგასამართის მარიგებელი სვეტები განთავსებული იქნება გადახურული ნაგებობის ქვეშ, ამიტომ სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი ნავთობპროდუქტებით არ არსებობს. ობიექტის პერიმეტრზე (გადახურვის გარეთ დარჩენილი) მოხვედრილი ნალექების შედეგად წარმოშობილი წყლები ჩაედინება ქალაქის სანიაღვრე არხში, რომელიც მდებარეობს საავტომობილო გზის და დაგეგმილი ავტოგასამართი სადგურის საზღვარზე. სანიაღვრე არხი არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. ადგილზე ვერ მოხერხდა მესაკუთრის დადგენა.

საყოფაცხოვრებო წყლები -

წყლით მომარაგება მოხდება ქალაქის წყალმომარაგების სისტემიდან. გამოყენებული წყალი ჩაშვებული იქნება ტერიტორიაზე მოწყობილ, ბეტონის კედლიან (წყალგაუმტარი) საკანალიზაციო ჭაში, რომლის დაცლა მოხდება საჭიროების მიხედვით, შპს „სანიტართან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ავტოგასამართი სადგურის მოწყობის და ექსპლუატაციის ფაზებზე წყლის გარემოზე ზემოქმედების რისკი შეიძლება შეფასდეს, როგორც დაბალი ხარისხის ზემოქმედება.

ზედაპირულ წყლებზე ზემოქმედება -

დაგეგმილი ავტოგასამართის სიახლოვეს არ არსებობს მდინარე, შესაბამისად გამორიცხულია მდინარის დაბინძურება.

ზემოქმედება ფლორასა და ფაუნაზე:

ავტოგასამართის მოწყობისას არ არის დაგეგმილი საწარმოს ტერიტორიაზე ხე-მცენარეების მოჭრა. საწარმოს ტერიტორიაზე და მის უშუალო სიახლოვეს არ ფიქსირდება მრავალწლიანი მცენარეული სახეობები, მით უმეტეს საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობები. ასევე არ ფიქსირდება ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლები.

ვ. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები:

ავტოგასამართი სადგურის მშენებლობისას არ მოხდება ნამეტი ოდენობის მასალების შექმნა. მიწის სამუშოებისას წარმოშობილი ინერტული ნარჩენი გამოყენებული იქნება ტერიტორიის მოსაშენდაკვებლად. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ადგილი არ ექნება ინერტული ნარჩენების წარმოქმნას.

ავტოგასამართ სადგურში წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენების შეგროვება მოხდება კონტეინერული სისტემის გამოყენებით. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანაზე 2022 წლის 01 აგვისტოს ქალაქ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმდა ხელშეკრულება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მომსახურების გაწევაზე. (ხელშეკრულებას წარმოგიდგენთ დანართის სახით).

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე მოწყობილი იქნება ნარჩენების უბანი, სადაც განთავსებული იქნება ნაგვის ურნები დასტიკერებული სხვადასხვა ნარჩენებისთვის ინდივიდუალურად.

საწარმოს ოპერირებისას პრაქტიკულად მოსალოდნელია მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა (წელიწადში მაქსიმუმ 0,5 მ³-ის ოდენობით). აღნიშნული ნარჩენებისა და ასევე რაიმე სახის სახიფათო ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩვრები, ხელთათმანები, სალექარში დაგროვილი საწვავის ნარჩენები) მათი მართვა განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული სრული მოთხოვნების გათვალისწინებით, კერძოდ, მათი დროებითი განთავსება სახიფათო ნარჩენებისთვის განკუთვნილ დახურულ კონტეინერებში და შემდგომ ტრანსპორტირების მიზნით მისი გადაცემა შესაბამისი ნებართვების მქონე კომპანიაზე. აღნიშნულის განსახორციელებლად, 2022 წლის 22 ნომბერს შპს „სანიტართან“ გაფორმდა ხელშეკრულება, ნარჩენების გატანა, გადამუშავება-უტილიზაციის შესახებ. (ხელშეკრულებას წარმოგიდგენთ დანართის სახით).

ზ. უსაფრთხოება და ავარიული სიტუაციები-

ავტოგასამართი სადგურის ოპერირებისას ავარიული სახით შესაძლებელია მოხდეს თხევადი საწვავის გაცემისას მათი დაღვრა. ავტოგასამართი სადგურის გასაცემი სვეტის მოედნის გარე პერიმეტრი მოწყობილი იქნება არხებით, რომელიც შეერთებული იქნება მიწისქვეშა სალექარ ავზთან, სადაც დაღვრის შემთხვევაში ისინი მოხვდებიან. ამით აცილებული იქნება მათი გარემოში მოხვედრა და გარემოს დაბინძურება. სალექარი წარმოადგენს 0,5მ³ მოცულობის ბეტონის რეზერვუარს. რეზერვუარი აღჭურვილი იქნება ტივტივით და ნავთობპროდუქტების მიმღები ორმოთი. ნავთობპროდუქტების მიმღებ ორმოში ჩაფენილი იქნება შლამი. სალექარში დაგროვილი საწვავის ნარჩენების გატანას და უტილიზებას უზრუნველყოფს შპს „სანიტარი“, გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

სახანძრო უსაფრთხოების მიზნით ავტოგასამართ სადგურზე დამონტაჟებული იქნება სახანძრო სტენდი, განთავსდება ცეცხლმაქრები და სხვა სახანძრო უსაფრთხოების საშუალებები. ავტოგასამართი სადგურის თანამშრომელებს პერიოდულად ჩაუტარდებათ სახანძრო უსაფრთხოების და შრომის უსაფრთხოების

შესახებ ტრენინგები, რის შედეგადაც დაცული იქნება შრომისა და სახანძრო უსაფრთხოების წესები.

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ასევე განთავსებული იქნება მეხამრიდი, რომელიც სრულად დაფარავს სარეზერვუარო პარკს და მარიგებელ სვეტს და შენობა-ნაგებობას. ავტოგასამართი აღჭურვილი იქნება სახანძრო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ხანძრის პრევენციას, ისე ადამიანის ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას.

თ. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე :

საწარმოს ტერიტორია არ განეკუთვნება ჭარბტენიან, ტყით დაფარულ და დაცულ ტერიტორიას და არ მდებარეობს ასეთი ტერიტორიების სიახლოვეს. აქედან გამომდინარე მათზე რაიმე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ი. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება :

ავტოგასამართი სადგური ფუნქციონირებით გარკვეულ წვლილს შეიტანს სოციალური პირობების გაუმჯობესებაში. საწარმოში და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ დასაქმებულთა რიცხვი დიდი არ იქნება (დაახლოებით შვიდი ადამიანი), მაგრამ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით დადებითად იმოქმედებს დასაქმებულების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

ქვეყანაში არსებული საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხდის მასზე დაკისრებულ გადასახადებს, რაც დადებითად აისახება ადგილობრივ ბიუჯეტზე.

კ. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე:

საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში ადამიანების (იგულისხმება როგორც მომსახურე პერსონალი, ასევე მიმდებარე მაცხოვრებლები) ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება პირდაპირი სახით მოსალოდნელი არ არის.

ლ. საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება: დაგეგმილი ავტოგასამართის სიახლოვეს არ არსებობს ავტოგასამართი სადგური. რომელთან მიმართებითაც შესაძლებელია კუმულაციური ზემოქმედების საკითხის განხილვა.

აღსანიშნავია, რომ ავტოგასამართი სადგურის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნავთობპროდუქტების საცავების მოწყობისა და საწვავის რეალიზაცია დაკავშირებული არ არის მსხვილი მასშტაბის გაფქვევებთან. გაფრქვევები ძირითადად არ სცილდება ობიექტის ტერიტორიის ფარგლებს. ავტოგასამართი სადგურის ოპერირებისას გაფრქვევები უმნიშვნელო მოცულობისაა.

შესაბამისად, აღნიშნულ ობიექტთან მიმართებით, ატმოსფერულ ჰაერზე კუმულაციური ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი და გავლენას ვერ მოახდენს საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე.

დადებითი კუმულაციური ზემოქმედებაა, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება და ადგილობრივ ბიუჯეტში დამატებითი თანხების მობილიზების შესაძლებლობა. რაც მნიშვნელოვანია რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისთვის.


მ. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები:

ტერიტორიაზე და მის სიახლოვეს არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.

საწმენდის ჯგუფის მოწყობა

შესატყობიანი:


1. საწმენდის ნაწილაკების
2. საწმენდის მიწის
3. საწმენდის მიწის
4. საწმენდის საწმენდი
5. საწმენდის მიწის მიწის
6. საწმენდის საწმენდი მიწის
7. საწმენდის საწმენდის მიწის
8. საწმენდის საწმენდის მიწის
9. საწმენდის საწმენდის მიწის
10. საწმენდის საწმენდის მიწის
11. საწმენდის საწმენდის მიწის
12. საწმენდის საწმენდის მიწის
13. საწმენდის საწმენდის მიწის
14. საწმენდის საწმენდის მიწის
15. საწმენდის საწმენდის მიწის
16. საწმენდის საწმენდის მიწის
17. საწმენდის საწმენდის მიწის














ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერია



წერილის ნომერი: 122-1222229456
თარიღი: 21/10/2022

ადრესატი: შპს ნეფთ
საიდენტიფიკაციო ნომერი: 423357334
მისამართი: საქართველო, ქ. ახალქალაქი, დავით აღმაშენებლის ქ., N30ა

შპს "ნეფთ-ის" დირექტორს
ქალბატონ ნ. მელიქიძეს
თქვენი 2022 წლის 29 სექტემბრის განცხადების პასუხად, ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობის თანხმობასა და ზონირებასთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერია წინააღმდეგი არ არის თქვენს მიერ ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობისა და რომ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში ზონირება არ არის.

ანივარდ მოსოიან

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ხელშეკრულება N3

საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მომსახურების გაწევაზე

ქ. ნინოწმინდა

01 აგვისტო 2022 წელი

ერთის მხრივ, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერია, შემდგომში „შემსრულებელი“, წარმოდგენილი მერის ანივარდ მოსოიანის სახით და მეორეს მხრივ - შპს ნეფთ, ს/კ 423357334, დირექტორის გრიგორი ჰამბარცუმიალის, (იურ. მისამართი: ქ. ახალქალაქი დავით აღმაშენებლის ქ. # 30 ა, შემდგომში „დამკვეთი“ „დამკვეთი“ და „შემსრულებელი“ შემდგომ ტექსტში ერთობრივად მოხსენიებულია როგორც „მხარეები“.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს „შემსრულებელის“ მიერ საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის უზრუნველყოფას ქ. ნინოწმინდაში, ნინოწმინდის სასოფლო მიწების მიმდებარე ტერიტორიიდან (მოცულობა — 12 კუბ.მ.)

მუხლი 2. მომსახურების ანაზღაურების წესი და პირობები

2.1. ამ ხელშეკრულების შესაბამისად გაწეული მომსახურებისათვის „დამკვეთი“ „შემსრულებელს“ გადაუხდის თვეში — 15 ლარის ოდენობით, (საკრებულოს დადგენილება წლის #4. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ყოველწლიურად — 180 (ასოთხმოცი) ლარს.

2.2. ანგარიშსწორება განხორციელდება თვეში ერთხელ, ან ერთდროულად, შემდეგ რეკვიზიტებზე: ბანკის კოდი TRESGE22 ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური: ა/ა 200122900-ახალციხის რეგიონალური ცენტრი, დასუფთავების მოსაკრებელი, კოდი - 300633189;

მუხლი 3. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

3.1. „დამკვეთი“ უფლებამოსილია:

- მოთხოვოს „შემსრულებელს“ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება გულისხმიერად, ხარისხიანად და შეთანხმებული პირობების დაცვით;

3.2. „დამკვეთი“ ვალდებულია;

- აუნაზღაუროს „შემსრულებელს“ მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით და პირობებით;

3.3. „შემსრულებელი“ ვალდებულია

- ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განახორციელოს საკუთარი პერსონალის მეშვეობით გულისხმიერად, ხარისხიანად და მოქმედი ნორმატივების დაცვით,

3.4. „შემსრულებელი“ უფლებამოსილია

- მოითხოვოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იმ პირობებითა და ოდენობით, რაც დადგენილია ამ ხელშეკრულებით;

- მომსახურების ღირებულების გადახდის დაგვიანების შემთხვევაში დამკვეთს გაუგზავნოს გაფრთხილების წერილი და აცნობოს გადაუხდელობის შემთხვევაში მოსალოდნელ შედეგებზე.

- მოთხოვოს „დამკვეთს“ სრულად დაიცვას დადებული ხელშეკრულების პირობები.

მუხლი 4. ფორს - მაჟორი

იმ შემთხვევაში, თუ მთლიანად ხელშეკრულების ან რომელიმე სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება შეუძლებელია ან შეუძლებელია გახდა ისეთი გარემოებათა გამო, რომელზეც ხელშეკრულების მხარის კონტროლი არ ვრცელდება, კერძოდ, ხანძარი, აფეთქება, ეპიდემია, ქარიშხალი, მეწყერი, წყალდიდობა ან ნებისმიერი სხვა მსგავსი სახის ბუნებრივი მოვლენა; ომი, სახელმწიფო თუ სამხედრო გადატრიალება, სამოქალაქო არეულობა, ბლოკადა ან სხვა მსგავსი სახის მოვლენა ან ნებისმიერი ისეთი გარემოება, რაც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ითვლება ფორს-მაჟორული ხასიათის მქონედ, მაშინ ასეთი მხარე განთავისუფლდება ხელშეკრულებით, ან მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობისაგან ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების მთელი დროის მანძილზე. ამასთანავე, ასეთი მხარე დაუყოვნებლივ აცნობებს მეორეს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შესახებ, ყოველგვარ ძალისხმევას მიმართავს მსგავსი გარემოების თავიდან ასაცილებლად და ფორს მაჟორული

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მათი ხელმოწერის დღიდან და მოქმედების ვადა უვადო- მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქვამდე, ან ცვლილებების შეტანამდე. თუ კი ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე ერთი თვით ადრე მხარეები არ გამოთქვამენ სურვილს შეწყვიტონ ხელშეკრულება ან ცვლილებები შეიტანონ მასში, იგი ავტომატურად გრძელდება იგივე ვადით და პირობებით. აღნიშნული გაგრძელების შეტანაში მოქმედების ვადის ყოველი ამოწურვისას.
- 5.2. ხელშეკრულების ვადამდე ადრე შეწყვეტა შეიძლება მოხდეს მხარეთა შეთანხმებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში 30 დღის ადრე, წინასწარი შეთანხმებით;
- 5.3. ხელშეკრულების შეწყვეტა არ გულისხმობს იქამდე განხორციელებული თუ დაგეგმილი საქმიანობის კონფიდენციალურობის დაუცველობას.
- 5.4. „დამკვეთს“ უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ „შემსრულებლის“ მხრიდან ადგილი ექნება ამ ხელშეკრულებით მისი პირობების შეუსრულებლობას.

მუხლი 6. მარეგულირებელი სამართალი და დავათა გადაწყვეტა

- 6.1. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობას შესაბამისად.
- 6.2. მხარეთა შორის არსებული დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.
- 6.3. შეუთანხმებლობის შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დავას წყვეტს საქართველოს სასამართლო.

მუხლი 7. სამართალმემკვიდრეები და უფლებამონაცვლები

წინამდებარე ხელშეკრულების დებულებები ცალსახად და უპირობოდ ვრცელდება ამ ხელშეკრულების მხარეებზე და მათ შესაბამის სამართალ მემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლებზე.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

- 8.1. წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს მასში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით მხარეთა შორის გაფორმებულ ერთიან და მთლიან ხელშეკრულებას, რომელიც ცვლის მხარეთა შორის არსებულ საკითხთან დაკავშირებით მანამდე არსებულ ნებისმიერ შეთანხმებასა.
- 8.2. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ჩაითვლება არაკანონიერად, ამგვარი დებულების ძალის დაკარგვა ზემოქმედების არ მოახდენს წინამდებარე ხელშეკრულების სხვა დებულებების ქმედითობაზე.
- 8.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. ამასთან, ცვლილება ან დამატება შესრულებული უნდა იყოს წერილობით და სათანადოდ ხელმოწერილი მხარეთა მიერ.
- 8.4. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა შესაძლო დანართი შეადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და აღსრულება წარმოებს მოცემული ხელშეკრულების ყველა დანარჩენ პირობასთან ერთად.
- 8.5. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.
- 8.6. ხელშეკრულება შესრულებულია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ყოველ მხარეს გადაეცემა ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი.

მუხლი 9. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

„შემსრულებელი“

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერია
 მის: ქ. ნინოწმინდა, კუშკინის ქ. #43
 ს/კ: 236689669
 ბანკის კოდი: TRESGE22
 ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური,
 დასუფთავების მოსაკრებელი, 200122900
 კოდი: 300633189

„დამკვეთი“

შპს „ნეფთ“
 მის: დავით აღმაშენებლის ქ. # 30 ა
 ს/კ 423357334
 აბონენტის ნომერი
 საკონტაქტო პირი: გრიგორო ჰამბარცუმიან
 ტელეფონი: 557 21 00 00

საკონტაქტო პირი: ნინოწმინდა მერია
 ტელეფონი: 236689669
 ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერია
 ანივარდ მოსოიან/



[Handwritten Signature]
 გრიგორო ჰამბარცუმიან/

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები

1.1.	შემსრულებელი:	
1.1.1.	სახელწოდება (საფირმო):	შპს სანიტარი
1.1.1.1.	საიდენტიფიკაციო ნომერი:	204927240
1.1.1.2.	იურიდიული მისამართი:	ქ. რუსთავი, გამარჯვების გზატკეცილი #4
1.1.1.3.	საკორესპონდენციო (ფაქტობრივი) მისამართი:	ქ. რუსთავი, გამარჯვების გზატკეცილი #4
1.1.1.4.	<u>წარმომადგენელი (ხელმოწერიპირი):</u>	
1.1.1.4.1.	სახელი და გვარი:	ბესიკ ჭელიძე
1.1.1.4.2.	თანამდებობა/სტატუსი:	დირექტორი
1.1.1.5.	<u>საკონტაქტო მონაცემები:</u>	
1.1.1.5.1.	საკონტაქტო პირის სახელი და გვარი:	ლევან კვიციანი
1.1.1.5.2.	თანამდებობა/სტატუსი:	ადმინისტრაციული დირექტორი
1.1.1.5.3.	ტელეფონი:	599 58-31-30
1.1.1.5.4.	ელფოსტა:	sanitary@sanitary.ge
1.1.1.5.5.	<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>	
1.1.1.5.6.	ბანკის დასახელება:	საქართველოს ბანკი
1.1.1.5.7.	ბანკის კოდი:	BAGAGE22
1.1.1.5.8.	ანგარიშის კოდი:	GE33BG000000126078100
1.2.	დამკვეთი	
1.2.1.	სახელი, გვარი/ სახელწოდება:	შპს ნეფტ
1.2.1.1.	პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი:	423357334
1.2.1.2.	იურიდიული/საცხოვრებელი მისამართი:	ახალქალაქი, დადამაშენებლის ქ. N30ა
1.2.1.3.	საკორესპონდენციო (ფაქტობრივი) მისამართი:	
1.2.1.3.1.	საკონტაქტო პირის სახელი და გვარი:	გრიგორი ჰამბარცუმიანი
1.2.1.4.	თანამდებობა/სტატუსი:	დირექტორი
1.2.1.5.	ტელეფონი:	
1.2.1.6.	ელ. ფოსტა:	
1.2.1.7.	<u>დამატებითი საკონტაქტო პირი:</u>	
1.2.1.7.1.	საკონტაქტო პირის სახელი და გვარი:	
1.2.1.7.2.	ტელეფონი:	
1.2.1.7.3.	ელ. ფოსტა:	Qobulashvili56gmail.com
1.2.1.8.	<u>საბანკო რეკვიზიტები:</u>	
1.2.1.8.1.	ბანკის დასახელება:	
1.2.1.8.2.	ბანკის კოდი:	
1.2.1.8.3.	ანგარიშის კოდი:	

შემსრულებელი:

დამკვეთი:



თავი I
ზოგადი დებულებანი**მუხლი 2: ტერმინთა განმარტება:**

- 2.1 თუ მხარეთა დამატებითი შეთანხმებით სხვა რამ არ განისაზღვრება ან/და კონტექსტიდან სხვა აზრი არ გამომდინარეობს, წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
- 2.1.1 ხელშეკრულება – წინამდებარე ხელშეკრულება ნარჩენების გადამუშავება-უტილიზაციის შესახებ, ასევე მისი ნებისმიერი დანართი, სხვა სახის დამატებითი შეთანხმება დადებული მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
- 2.1.2 მხარე – დამკვეთი ან/და შემსრულებელი ან/და შუამავალი კომპანია (კონტექსტიდან გამომდინარე).
- 2.1.3 დანართი – წინამდებარე ხელშეკრულებისან/დასხვა ხელშეკრულების (კონტექსტიდან გამომდინარე) ფარგლებში მხარეთაშორის დადებული/მიღწეული დამატებითი შეთანხმება, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 2.1.4 სხვა ხელშეკრულება – წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ ვალდებულებათა შესრულებასთან დაკავშირებით, მხარეთა შორის დადებული დამატებითი შეთანხმებანი, მათ შორის მიწოდების ხელშეკრულება.
- 2.1.5 მესამე პირი – ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი, გარდა წინამდებარე ხელშეკრულების მხარეებისა.
- 2.1.6 საბანკო დღე – სამუშაო დღე საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისათვის (გარდა შაბათ-კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დასვენების დღეებისა).
- 2.1.7 ფორს-მაჟორი – განსაკუთრებული ვითარება რომლის დროსაც შეუძლებელია მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებათა შესრულება, მათ შორის: მასობრივი არეულობები, სტიქიური უბედურობები, დაავადებათა მასობრივი გავრცელება/ეპიდემია, სახელმწიფოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მხარეთათვის გადაულახავი, მათგან დამოუკიდებელი გარემოება, რომელთა გათვალისწინებაც არ შეეძლო მხარეს და რომელიც უშუალო უარყოფით/დამარბკოვლებელ ზემოქმედებას ახდენს ხელშეკრულებით მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე.
- 2.1.8 კანონმდებლობა – საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები რომლებიც რატიფიცირებულია საქართველოს მიერ.
- 2.1.9 კანონმდებლობის დისპოზიციური ნორმა – კანონმდებლობის ნორმა, რომლის მიხედვითაც მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა, მათ შორის არსებული ურთიერთობა დაარეგულირონ, კანონმდებლის მოთხოვნისაგან განსხვავებული სახით, საკუთარი შეხედულებისამებრ.
- 2.1.10 უნაღლო ანგარიშსწორება – ანგარიშსწორება მხარეთა შორის საბანკო გადარიცხვების მეშვეობით.

მუხლი 3: ხელშეკრულების მოქმედების სფერო

- 3.1. წინამდებარე ხელშეკრულება წამოადგენს მხარეთა მიერ, ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე, მიღწეულ შეთანხმებას (გარიგებას) ,რომელიც აწესრიგებს მხარეთა შორის წარმოშობილ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს.
- 3.2. მოცემული ხელშეკრულების შესაბამისად მხარეები განსაზღვრავენ ურთიერთობის ძირითად პირობებსა და სტანდარტებს, ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში;
- 3.3. ხელშეკრულების მუხლებით გათვალისწინებულ თითოეული მხარის უფლებას შეესაბამება მეორე მხარის ვალდებულება და პირიქით.
- 3.4. ხელშეკრულების მუხლებს გააჩნიათ უპირატესი იურიდიული ძალა კანონმდებლობის დისპოზიციურ ნორმებთან მიმართებაში;
- 3.5. თუ ხელშეკრულების მუხლები იძლევიან მათი ურთიერთ-საწინააღმდეგო შინაარსით განმარტების შესაძლებლობას, ურთიერთობის რეგულირებისას გამოიყენება ის მუხლი, რომელიც მისი სათაურიდან გამომდინარე განკუთვნილია სპეციალურად მოსაწესრიგებელი ურთიერთობისათვის, ხოლო ასეთის არ არსებობის შემთხვევაში მუხლი რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება დასარეგულირებელი ურთიერთობის შინაარსს.

შემსრულებელი:

დამკვეთი:



თავი II
ხელშეკრულების საგანი**მუხლი 4: ხელშეკრულების საგანი**

- 4.1 ხელშეკრულების ფარგლებში, დამკვეთის მოთხოვნის საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შემსრულებელი ახორციელებს, დამკვეთის საწარმოს ტერიტორიაზე წარმოშობილი სახიფათო ნარჩენების გამოტანას და დროებით განთავსებას შპს სანიტარის ბაზაზე სპეციალურად მოწყობილ უბანზე, შემდგომი გადამუშავება-უტილიზაციის მიზნით.
- 4.2 შემსრულებელი იღებს ვალდებულებას მოახდინოს სახიფათო ნარჩენების განთავსება და გადამუშავება-უტილიზაცია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

მუხლი 5: შეკვეთა მომსახურების მიღების შესახებ

- 5.1. შემსრულებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებას ახორციელებს დამკვეთის მოთხოვნის (შემდგომში „შეკვეთა“) საფუძველზე.
- 5.2. კონტრაქტით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება ვრცელდება მხოლოდ დამკვეთის მიერ წარმოქმნილ და შეგროვებულ ნარჩენზე.
- 5.3. მომსახურების მიღების მიზნით დამკვეთმა უნდა განახორციელოს შეკვეთა (შემრულებელს უნდა ეცნობოს) მომსახურების გაწევამდე არანაკლებ ხუთი სამუშაო დღით ადრე.
- 5.4. შეკვეთა უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით, დაზღვეული წერილის, მოკლე ტექსტური შეტყობინების, ელექტრონული წერილის ან/და ფაქსის გაგზავნის გზით.
- 5.5. შეკვეთა მიღებულად ითვლება შემსრულებლის მიერ მისი მიღების დადასტურების შემთხვევაში.
- 5.6. დამკვეთმა შეკვეთაში უნდა მიუთითოს, ნარჩენების ადგილმდებარეობა, მათი მოცულობა, სახეობა და მომსახურების მიღებისათვის მისთვის მისაღები დროის პერიოდი, რომელიც დამატებით უნდა შეთანხმდეს მხარეთა შორის.

მუხლი 6: მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 6.1. ხელშეკრულებაში მონაწილეობს ორი მხარე: დამკვეთი კომპანია და შემსრულებელი.
- 6.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან კეთილსინდისიერად სრულად და ჯეროვნად შეასრულონ ხელშეკრულებით ნასკირი ვალდებულებანი.
- 6.3. შემსრულებელი ვალდებულია:
 - 6.1.1. განახორციელოს სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირება, რეციკლირება, სეგრეგაცია, გადამუშავება/უტილიზაცია კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვით.
 - 6.1.2. დაიწყოს სახიფათო ნარჩენების გადამუშავება/უტილიზაცია მხარეთა შორის შეთანხმებულ ვადაში და აწარმოოს ბრალეული გაჭიანურების გარეშე.
- 6.3 დამკვეთი ვალდებულია:
 - 6.2.1. მოათავსოს სახიფათო ნარჩენები მეტალის სპეციალიზირებულ კასრებში.
 - 6.2.2. შეძლებისდაგვარად მოახდინოს ნარჩენების სეგრეგაცია.
 - 6.2.3. შეავსოს ნარჩენების გადაზიდვის სატრანსპორტო ზედდებული (Waste Transfer Note) - სახიფათო ნარჩენის შემთხვევაში გაააქტიუროს გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პლათფორმაზე კანონმდებლობის შესაბამისად.
 - 6.2.4. მიაწოდოს ინფორმაცია შემსრულებელს სახიფათო ნარჩენების სახეობისა და სახეობიდან გამომდინარე განსაკუთრებული რისკის შესახებ.
 - 6.2.5. შემსრულებლის წარმომადგენლის თანდასწრებით, მოახდინოს ტრანსპორტირებისათვის გამზადებული სახიფათო ნარჩენების აწონვა და მიღებული მონაცემები შეიტანოს გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პლათფორმაზე კანონმდებლობის შესაბამისად.

შემსრულებელი:

დამკვეთი:



მუხლი 7: მომსახურების მიღება

7.1 სახიფათო ნარჩენების გადამუშავება-უტილიზაციასთან დაკავშირებით, მხარეები ადგენენ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს, რომელშიც აღნიშნება ნარჩენების სახეობა, რაოდენობა და ღირებულება.

მუხლი 8: კომუნიკაცია.

- 8.1 მხარეთაშორის კომუნიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს როგორც წერილობითი, ასევე ხელშეკრულებით განსაზღვრულ შემთხვევებში ზეპირი ფორმით.
- 8.2 წერილობითი შეტყობინება მხარეს შესაძლებელია მიეწოდოს როგორც დაზღვეული წერილის, ასევე დეკემის, ფაქსის ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
- 8.3 შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება მისი ჩაბარების მეორე დღიდან, თუკი მის ჩაბარებას ადასტურებს თვითონ ადრესატი.
- 8.4 იმ შემთხვევაში როდესაც არ არსებობს ადრესატის დადასტურება, შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება მისი გაგზავნიდან 2 საბანკო დღის შემდეგ.
- 8.5 მხარეები ურთიერთობას ახორციელებენ ხელშეკრულებაში აღნიშნულ მისამართებზე, ხოლო მათი შეცვლის შემთხვევაში კისრულობენ ვალდებულებას დაუყოვნებლივ შეატყობინონ ერთმანეთს აღნიშნული ცვლილების შესახებ.
- 8.6 ხელშეკრულების 8.5 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების დაუცველობის შემთხვევაში, შეტყობინება გაგზავნილი ძველ მისამართზე ითვლება ჩაბარებულად 8.4 მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

თავი III**მხარეთა ფინანსური ვალდებულებანი****მუხლი 9: ფინანსური ვალდებულებანი**

- 9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებიდან გამომდინარე მხარეთა შორის წარმოიშობა ფინანსური ვალდებულებანი, რომლებიც განისაზღვრება საზღაურის გადახდის, ზიანის მიყენების შემთხვევაში მისი ანაზღაურებისა, ჯარიმის/პირგასამტეხლოს გადახდის და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფულად გადასახდელთან დაკავშირებული ვალდებულებით.
- 9.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით, ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების გზით.
- 9.3 იმ შემთხვევაში, თუკი დამკვეთი დაარღვევს ანგარიშსწორების ვადას, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების 10.2 პუნქტში და ასეთი ვადაგადაცილება გადააჭარბებს 10 (ათ) კალენდარულ დღეს, შემსრულებელი უფლებამოსილი იქნება ვადაგადაცილების მე-11-ე დღიდან დავალიანების სრულ დაფარვამდე დაარიცხოს დამკვეთს პირგასამტეხლოს სახით დროულად გადაუხდელი თანხის 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, დავალიანების სრულ დაფარვამდე შემსრულებელი უფლებამოსილი იქნება შეაჩეროს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევა დამკვეთისათვის.

მუხლი 10: მომსახურების ანაზღაურება

შემსრულებელი:

დამკვეთი:

4



- 10.1 ხელშეკრულების მე-4 მუხლში მოცემული მომსახურების განფასება მოცემულია ამავე ხელშეკრულების დანართ N1 ში რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს
- 10.2 დამკვეთი აუნაზღაურებს შემსრულებელს, შესრულებული სამუშაოს ღირებულებას, ყოველი კონკრეტული მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში, შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი ინვოისის საფუძველზე.
- 10.3 ხელშეკრულების დანართში მოცემული ფასები შეიცავს დამატებითი ღირებულების გადასახადს მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების მე-10 მუხლით გათვალისწინებული საზღაურის ოდენობა მოიცავს დამკვეთის საწარმოს ტერიტორიიდან სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების ღირებულებას, და ნარჩენის უტილიზაციის ღირებულებას.
- 10.4 გაწეული მომსახურების (ნარჩენების ტრანსპორტირების და უტილიზაციის) ღირებულებას დამკვეთი გადაუხდის შემსრულებელს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 7(შვიდი) კალენდარული დღის ვადაში.

თავი IV
დასკვნითი დებულებანი

მუხლი 11: მხარეთა პასუხისმგებლობა.

- 11.1 მხარეები ვალდებული არიან აუნაზღაურონ ერთმანეთს ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანი.
- 11.2 მხარეები თავისუფლდებიან ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა განპირობებულია ფორსმაჟორული გარემოებით.

მუხლი 12: ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ხელშეკრულების შეწყვეტა.

- 12.1 ხელშეკრულება დადებულიად ითვლება ორივე მხრიდან ხელმოწერისთანავე და ძალაშია ერთი წლის ვადით
- 12.2 ხელშეკრულება წყდება:
 - 12.2.1. მხარეთა წერილობით შეთანხმებით, სხვა შემთხვევაში ვადა ავტომატურად გაგრძელებულად ჩაითვალოს.
- 12.3. მხარეებს შეუძლიათ ვადაზე ადრე შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება, მეორე მხარისთვის 20 (ოცი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

მუხლი 13: დავების გადაწყვეტის წესი.

- 13.1. ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი დავა წყდება მხარეთა ურთიერთ შეთანხმებით. შეთანხმების ვერ მიღწევის შემთხვევაში დავის გადაწყვეტა მოხდება საქართველოს საერთო სასამართლოთა მიერ.
- 13.2. მხარეთა შორის ურთიერთობის რეგულაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 14: გარდამავალი დებულებანი

- 14.1. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტას.
- 14.2. ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესი იურიდიული ძალა მის ხელმოწერამდე მხარეთა შორის გაფორმებულ ნებისმიერ დოკუმენტზე, შეთანხმებაზე, ან/და ზეპირი მოლაპარაკებით შეთანხმებულ პირობასთან შედარებით.

შემსრულებელი:

დამკვეთი:



- 14.3. მხარის მიერ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების გამოყენებლობა, ან დროებით არ გამოყენება არ განიმარტება როგორც ამგვარ უფლებაზე უარის თქმა. უფლებებზე უარის თქმა იურიდიული ძალის მქონეა თუ იგი შედგენილია გარკვევით და წერილობითი ფორმით.
- 14.4. ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერ ცვლილება ძალაში შევა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იგი დადებულია წერილობით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ.
- 14.5. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.
- 14.6. ნებისმიერი საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შემსრულებელი:

დამკვეთი:



ნაჩენების მართვის მომსახურების ფასები			
Item	აღწერილობა	ერთეული	ნიმუში და- სამსხვე- ჯავახეთი
001	ტრანსპორტირება		
00101	სკიპის საიტზე მობილიზაცია/დემობილიზაცია	Trip	829
00102	ბინების საიტზე მობილიზაცია/დემობილიზაცია	Trip	592
00103	ტულეტების მობილიზაცია/დემობილიზაცია	Trip	710
00104	სკიპის ავტომობილი 10მ3	Trip	829
00105	სკიპის ავტომობილი 5მ3	Trip	710
00106	მცირე სატვირთო რეციკლირებადი ნარჩენისთვის (1.5 ტონამდე)	Trip	592
00107	10მ ³ ვაკუუმის ავტომობილი სლაჯის / დაბინძურებული წყლისთვის	Trip	829
00108 *	10მ ³ ვაკუუმი სახიფათო ნარჩენისთვის	trip	829
00109	ტრაილერი	Trip	947
00110	ავტომობილი ამწეთი (ჰაიაზი) (8.5t) - 6X6	Trip	829
00111*	სპეციალიზირებული ავტომობილი სახიფათო ტვირთებისთვის 7.5ტ	Trip	829
00112	სპეციალიზირებული ავტომობილი სახიფათო ტვირთებისთვის 1.5ტ	Trip	592
00113	თვითმცლელი 15მ ³	Trip	829
00114	თვითმცლელი 20მ ³	Trip	947
00115	წყლის გადასატანი ავტომობილი	Trip	829
00116	ბიო ტულეტის გაწმენდა 2ც (ფასში არ შედის მობილიზაცია/დემობილიზაციის თანხა. ფასში გათვალისწინებულია დაბინძურებული წყლის უტილიზაცია, საპონი, ქაღალდი, და სხვა აუცილებელი ქიმიკატები). ყოველი დამატებითი ტულეტის - 40 ლარი..	Trip	710

დამკვეთი:



შემსრულებელი:

002 - სკიპები, ზინები, მეტალის კასრები, პლასტმასის ურნები, ცელოფნის პარკები, 1 კუბიანი კონტეინერები			
00201	სკიპი (მეტალის ურნა 10მ ³)	ქირა დღიური	4.00
00202	სკიპი (მეტალის ურნა 5მ ³)	ქირა დღიური	2.00
00203	მეტალის ურნა 3 ფენიანი (თხევადი ან მყარი ნარჩენისთვის)	შესყიდვა	290.00
00204	ბორბლებიანი ურნა (110 / 220 ლიტრა)	ქირა დღიური	1.00
00205	ბორბლებიანი პლასტმასის ურნა 240ლ	შესყიდვა	240.00
00206	ბორბლებიანი პლასტმასის ურნა 120ლ	შესყიდვა	170.00
00207	ბორბლებიანი პლასტმასის ურნა 1100ლ	შესყიდვა	950.00
00208	პოლიპროპილენის სეპარირების ურნა 240ლ	შესყიდვა	120.00
00209	60 ლიტრიანი პლასტმასის კასრი	ქირა დღიური	0.90
00210	60 ლიტრიანი პლასტმასის კასრი	შესყიდვა	95.90
00211	IBC (1 კუბიანი კონტეინერი თხევადი ნარჩენისთვის)	შესყიდვა	500.00
00212	ცელოფნის სპეციალური პარკი ურნებისთვის	შესყიდვა	2.50
00213	დაღვრის საწინააღმდეგო ნაკრები (აბსორბენტები, ბუმები...)	შესყიდვა	640.00
002 - პორტატული ბიო ტუალეტები			
00211	ბიო ტუალეტი (გათვალისწინებულია შეკეთების ხარჯი)	ქირა დღიური	85.00
00212	ბიო ტუალეტი (გათვალისწინებულია შეკეთების ხარჯი)	1 თვის ღირებულება	1990.00
003 - ადამიანური რესურსი			
00301	ზედამხედველი	1 დღე	125.00
00302	მუშა	1 დღე	65.00
00303	ტექნიკის ოპერატორი	1 დღე	95.00
00304	ცხოვრების ხარჯი	1 დღე	80.00
004 - არა-სახიფათო ნარჩენის უტილიზაცია			
00401	საჭმლის ბიოდეგრადირებადი ნარჩენი	1კგ	2.17
00402	სამზარეულოს ცხიმი	1ლ	4.90
00403	სამზარეულოს ცხიმით დაბინძურებული წყალი	1ლ	4.90
00404	პლასტმასის ბოთლი / ცელოფნის ნარჩენი	1კგ	0.30
00405	ალუმინის ქილა	1კგ	0.40
00406	ქაღალდის, კარდონის ნარჩენი	1კგ	0.30
00407	მინის ნარჩენი	1კგ	0.50
00408	საერთო ნარჩენი (არ ექვემდებარება სეგრეგაციას) დამარხვა	1ტ	135.0
00409	საერთო ნარჩენი (არ ექვემდებარება სეგრეგაციას) დაწვა	1კგ	3.70
00410	ხის ნარჩენი	1კგ	0.40
00411	მეტალის ნარჩენი, მეტალის კასრები	1კგ	0.20
00412	მწვანე ნარჩენი (ბუჩქები, ხეები, ფოთლები)	1მ ³	30.00
00413	ცარიელი ცემენტის ტომრები	1მ ³	125.00
00414	საბურავების ნარჩენი	1კგ	0.60
00415	სლაჯი გამწმენდი ნაგებობიდან	1ლ	0.18
00416	დაბინძურებული წყალი (საკანალიზაციო)	1ლ	0.03
00417	დაზიანებული უსაფრთხოების ჩაფხუტი (დაწვა)	1კგ	3.70
00418	გამოყენებული გეომემბრანა (დაწვა)	1კგ	3.70
00419	დაზიანებული ტექსტილი (დაწვა)	1კგ	3.70
00420	დაზიანებული ფეხსაცმელი (დაწვა)	1კგ	3.70
00421	პლასტმასის მილები	1მ ³	143.00
00422	ინერტული ნარჩენი, ასფალტი, ბეტონი, მიწა	1მ ³	15.00
00423	გამოყენებული ჰაერის ფილტრები (არასახიფათო)	1კგ	1.60

დამკვეთი: 

შემსრულებელი:

005 - სახიფათო ნარჩენის უტილიზაცია

00501	საღებავის, გამხსნელების ნარჩენი, ქაფი		
00502	ნაბურღი შლამი	1კბ	3.70
00503	გამოყენებული ზეთის და ჰაერის ფილტრები	1მ ³	559.00
00504	გამოყენებული ზეთი - სინთ./მინერ. (თუ ექვემდებარება რეგენერაციას)	1კბ	3.70
00505	ნავთობპროდუქტით დაბინძურებული თხევადი ნარჩენი (თუ ექვემდებარება ინსინერაციას) - ტრანსმისიის/დიფერენციალის, ჰიდრაგ.	1ლ	0.30
00506	გამოყენებული ანტიფრიზი	1ლ	3.70
00507	ნავთობპროდუქტით დაბინძურებული წყალი	1ლ	0.84
00508	სახ. ნივთიერებებით დაბინძურებული მყარი ნარჩენი	1ლ	2.20
00509	ნავთობპროდუქტით დაბინძურებული მეტალი	1კბ	3.70
00510	გამოყენებული ცეცხლმაქრი	1კბ	0.61
00511	სახ. ნივთიერებებით დაბინძურებული პლასტმასი / რეზინა / ჩვრები	1კბ	0.61
00512	აზრახული წმენდისთვის გამოყენებული ქვიშა	1კბ	3.70
00513	ელექტროდი	1მ ³	690.00
00514	სლაჯი ნავთობის გამწმენდიდან და ტანკრებიდან	1კბ	4.20
00515	სამედიცინო ნარჩენი	1კბ	3.70
00516	ელექტრონული ნარჩენები	1კბ	3.70
00517	აკუმულატორები	1კბ	2.20
00518	ბატარეები	1კბ	0.30
00519	ფლუოროცენციული და სხვა ვერცხლის წყლის შემცველი ნათურები	1ც	0.50
00520	პრინტერის გამოყენებული კარტიჯები	1 ცალი	1.20
00521	დაბინძურებული ტანისამოსი (სამუშაო ტანსაცმელი)	1კბ	3.70
00522	აზბესტი, აზბესტის შემცველი ნარჩენი	1კბ	3.70
00523	მინაბამბა	1ტ	390.00
00524	ტყვიაშემცველი საღებავი	1კბ	1.80
00525	პესტიციდებით დაბინძურებული თხევადი ნარჩენი	1კბ	4.10
00526	პესტიციდებით დაბინძურებული შესაფუთი მასალა (ნეიტრალიზაცია)	1ლ	0.18
00527	პესტიციდებით დაბინძურებული მყარი ნარჩენი (ინსინერაცია)	1მ ³	195.00
00528	ქიმიური ნარჩენი	1კბ	3.70
00529	მეტალური ვერცხლისწყალი / თერმომეტრი	1ლ	7.20
00530	სილიკაგელი (სილიციუმ მჟავა)	1გრ / 1ც	3.00
00531	დაბინძურებული მიწა (ბიორემედიაცია მოიცავს პრეპარატების, გაწმენდის და ლაბორატორიული ანალიზების ღირებულებას)	1კბ	3.80
		1მ ³	650.00

დამკვეთი:



შემსრულებელი: